სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს

უფროსს ბატონ ვასილ გედევანიშვილს

N 001

03-08-2023 წ.

ბატონო ვასილ,

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, სოფ. შინდისის ტერიტორიაზე ს.ს. "ესსი ტაბახმელა დეველოპმენტი"-ს (ს/კ: 404680895) მიერ დაგეგმილია კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ს/კ: 81.02.06.608; 81.02.06.613; 81.02.06.614 საერთო ფართობით 483186 მ². საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

პროექტი განეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-2 დანართის 9.2. ქვეპუნქტით (10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი (მათ შორის, სავაჭრო ცენტრისა და 1 000 ავტომობილის ტევადობის ავტოპარკის მოწყობა)) და მე-2 დანართის, მე-10 პუნქტის, 10.6. ქვეპუნქტით (ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია) გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ ს.ს. "ესსი ტაბახმელა დეველოპმენტი“-ს სოფელ შინდისის ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადებას და ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

- სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია - 1 ეგზემპლარი;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელ. ვერსია;
- განაშენიანების რეგულირების რეგულირების გეგმის დამტკიცებული გეგმარებითი დავალება- ელ. ვერსია.

პატივისცემით,

ს.ს. "ესსი ტაბახმელა დეველოპმენტი"-ს დირექტორი

ჯიმშერ გურგენიძე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
"03" 08 2023
№ 7421